



მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

კონფლიქტოლოგია

Conflictology

ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი

Business-Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

სრული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა შუბითიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი კონფლიქტოლოგიის სპეციალიზაციით
(Magistr Politics scions of Specialization Conflictogoy)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მიმდინარე კონფლიქტური პროცესების ზუსტი ანალიზი, კონფლიქტის ფსიქოლოგიის შესწავლა და პოლიტიკური კონფლიქტების კვლევით კონფლიქტებისა და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიების ათვისება, ცივილიზაციათა და საერთაშორისო და რეგიონულ კონფლიქტებში გარკვევა, საზოგადოებასთან ურთიერთობის დაუფლება, ინფორმაციული ომის სიღრმისეული დაუფლება. საქართველოსათვის ესოდენ საჭირო და დეფიციტური კონფლიქტოლოგთა კადრების თეორიული და პრაქტიკული მომზადება, რომლებიც კარგად ჩახედულნი იქნებიან კონფლიქტოლოგიის პრობლემატიკაში და აღჭურვილნი იქნებიან სათანადო ცოდნით და უნარებით, იქნებიან კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, კონფლიქტოლოგიური პრობლემების ანალიზის, პროგნოზირების, მოგვარების მიმართულებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ზოგადი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- გაცნობიერებული აქვს კონფლიქტოლოგიური დისციპლინების მნიშვნელობა კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისათვის;
- აქვს კონფლიქტოლოგიის სფეროს სპეციალიზებული ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს, კერძოდ შეძლებს;
- გეოპოლიტიკის საგნისა და კატეგორიების, მისი წინა ისტორიის შესწავლას; გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიების, მეთოდოლოგიის ათვისებას;
- ისტორიული გეოგრაფიის პრინციპებისა და ფასეულობების ცოდნას; საერთაშორისო, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სისტემების სპეციფიკის შესწავლას; ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის პრობლემების მრავალმხრივი ხედვის გამომუშავებას;
- კონფლიქტის შესწავლის ფსიქოლოგიური საფუძვლების დაუფლებას;
- ცივილიზაციურ ცნებებში, კატეგორიებსა და თეორიებში გარკვევას; ცივილიზაციის პრობლემის ირგვლივ კრიტიკულ აზროვნებას;
- სოციალური კონფლიქტების დინამიკაში გარკვევას; ჯგუფური, ოჯახური და სამსახურეობრივი კონფლიქტების არსში წვდომას;
- პოლიტიკური კონფლიქტის ანალიზისა და სინთეზის; პოლიტიკური კონფლიქტების კვლევის სათანადო დონეზე წარმართვას;
- კონსტიტუციონალიზმის საფუძვლების, ძირითადი ცნებებისა და ტერმინების შესწავლას;
- ინფორმაციული ომის შესახებ სტრატეგიის, პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტების ძირითადი დებულებების ცოდნას;
- კონფლიქტების კლასიფიკაციის მოხდენას და კონფლიქტური სიტუაციის შეფასებას სისტემური ანალიზის საფუძველზე;
- XX-XXI საუკუნის საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების თავისებურებათა შესწავლას;
- ნატოს სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომის საფუძვლიანად შესწავლას მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისათვის;
- გლობალიზაციის არსის, ტენდენციების და ახალი მსოფლიო წესრიგის დიალექტიკის შესწავლას;
- პოლიტიკაში საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპების და ხელოვნების, ფიარის განხორციელების კომუნიკაციური მექანიზმების და მასმედიასთან ურთიერთობის შესწავლას;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- აქვს კონფლიქტოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების განმარტებისა და გამოყენების უნარი;
- შეუძლია კონფლიქტოლოგიური პრობლემის გადასაწყვეტად ყველა საჭირო წყაროს მოძიება და პრაქტიკაში გამოყენება, მედიაციური მუშაობის ჩატარება;
- შეუძლია კონფლიქტოლოგიური შინაარსის დოკუმენტების შედგენა.

დასკვნის უნარი

შუძლია კონფლიქტოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი მკაფიოდ და ნაკლებად გამოკვეთილი პრობლემების ამოცნობა. ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებელი დასკვნების ჩამოყალიბება კონფლიქტური სიტუაციების და მასში მონაწილე პირების სამომავლო ქცევასთან დაკავშირებით შეუძლია კონფლიქტის პარამეტრების შეფასება და მათი რეგულირება.

- აქვს კონფლიქტოლოგიური პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი მოგვარების თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომების დასაბუთების უნარი;
- სათანადო მეთოდების გამოყენებით მიღებული ინფორმაციისა და განყენებული მონაცემების დამუშავება და არსებულ ცოდნასთან დაკავშირება, რის საფუძველზეც შეძლებს ლოგიკური დასკვნების გაკეთებას;
- კონფლიქტოლოგიის ამა თუ იმ პოზიციებზე თეზისის განვითარება და მის მოსაგვარებლად რელევანტური გზის არჩევა;
- კონფლიქტოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების კომენტირება და ანოტირება;
- კონფლიქტოლოგიის აქტუალური მოვლენების შესწავლის გზით არგუმენტირებული და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბება;
- გეოპოლიტიკური თეორიების და მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთებას;
- გლობალურისა და ეროვნული საკითხის ურთიერთმიმართებაში გარკვევა;
- ცივილიზაციური იდენტურობის და კუთვნილების პრობლემის ანალიზი;
- სოციალური კონფლიქტის იდენტიფიცირება და ანალიზი;
- კონსტიტუციონალიზმთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში ცოდნის მიღება, პრობლემის მრავალმხრივი კრიტიკული ანალიზი და სათანადო დასკვნების გაკეთება;
- ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემის მრავალმხრივი ხედვა, დასკვნის გაკეთება და მისი კრიტიკული ანალიზის უნარი;
- საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების სპეციფიკიდან გამომდინარე პრობლემის მრავალმხრივი ხედვა, დასკვნისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;
- ნატოს შესახებ სხვადასხვა წყაროებიდან ფაქტებისა და ინფორმაციის მოძიება, მათი კრიტიკული შეფასება და დასკვნების გაკეთება;
- დამოუკიდებელი დასკვნების გაკეთების უნარის გამომუშავება ახალი მსოფლიო წესრიგისა და გლობალიზაციის სამომავლო ტენდენციების წარმოჩენისას;

კომუნიკაციის უნარი

პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი და ზეპირი ანგარიშის მომზადება და წარდგენა, იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კრეატიულად გამოყენება. აქვს ინფორმაციის და მასალების შეკრების, დამუშავების, ანალიზისა და დაინტერესებულ პირთათვის გადაცემის უნარი.

- დებატებში ჩართვა, განსხვავებული აზრის გაგება და საკითხების ანალიზის დროს საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად დასაბუთება;
- კონფლიქტოლოგიის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების დაწერა;
- კონფლიქტოლოგიის პრობლემებისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია;
- თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით კონფლიქტოლოგიის სათანადო მოდელის შექმნა, რომელიც მიმართულია კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის;
- კონფლიქტოლოგიური ტერმინოლოგიის და მეთოდოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილი კომუნიკაცია ქართულ და უცხო ენაზე;

- საზოგადოებასთან მუშაობას და თანამშრომლობას, რითაც ხელს შეუწყობს კონფლიქტის პრევენციას;
- ზეპირი და წერილობითი ფორმით პოლიტიკური კონფლიქტების შესახებ ცოდნისა და კვლევის დასაბუთებულად წარმოჩენას;
- გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიების გადაცემა სპეციალისტებისთვის;
- ნატოს შესახებ მიღებული ცოდნისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის;
- პოლიტიკური ფიარის შესახებ არსებული ცოდნის გამოყენება ამომრჩევლებთან და სპეციალისტებთან, ანგარიშის წარდგენა და გაანალიზება.

სწავლის უნარი

- დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავების მიღწევა;
- მცნებით ტერმინოლოგიური აპარატის ინდივიდუალური ფლობის საფუძველზე შეუძლია ორიენტაციის აღება კონფლიქტოლოგიის წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე;
- სწავლის საკუთარი მიმართულების სწორი ორგანიზაცია და განსაზღვრა;
- კონფლიქტოლოგიურ დისციპლინებში საფუძვლიანი ცოდნის შეძენა;
- ქართულ და უცხო ენაზე კონფლიქტოლოგიური ლიტერატურისა და წყაროების გაცნობა, თეორიების, ტერმინოლოგიისა და მეთოდოლოგიის ათვისება;
- კონკრეტული სამეცნიერო კვლევითი პროგრამის შემუშავება კონფლიქტოლოგიაში;

ღირებულებები

- განსხვავებული ხედვების და კულტურების აღქმა და პატივისცემა;
- ტოლერანტობის და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში საკუთარი წვლილის შეტანა;
- კონფლიქტოლოგიური და პროფესიული ღირებულებების და ეთიკის დაცვა;
- ცივილიზაციური ორიენტაციის საკითხში გარკვევა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი დამოუკიდებელი მუშაობა სამაგისტრო ნაშრომი

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. გთავაზობთ სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **ევერისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. **როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გახადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. **ინდუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. **დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

15. წერითი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. ლაბორატორიული მეთოდი – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

17. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

18. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

19. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

20. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად.

პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

21. ელექტრონული სწავლება (E-learning) – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;
- დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს;

ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf

დასაქმების სფერო

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება პოლიტიკური მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

კონფლიქტოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული კონფლიქტოლოგიური საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საერთაშორისო, არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებში;
- საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში;
- საერთაშორისო საშუაშაველო ორგანიზაციებსა და სამშვიდობო მისიებში;
- სამეცნიერო კვლევით და ანალიტიკურ, ტრენინგ ცენტრებში;
- პოლიტიკურ პარტიებსა და საინფორმაციო სააგენტოებში;
- საელჩოებში და ა.შ.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ სილაბუსებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 21

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		სულ, კრედიტები
		სემესტრი I	სემესტრი II	სემესტრი III	სემესტრი IV	
	სასწავლო კომპონენტი:					
1	სასწავლო კურსები	30	25	20		75
	კვლევითი კომპონენტი:					
2	სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი		5			5
3	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი			10		10
4	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა				30	30
ECTS კრედიტები	სემესტრში	30	30	30	30	120
	კურსზე	60		60		120

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	საგანი	დამზების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
1	BCME007P	1. ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური), 2. ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული), 3. ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული), 4. ბიზნესკომუნიკაცია (რუსული).		5		
	BCMF007P					
	BCMG007P					
	BCMR007P					
2	TTTPE07L	1. თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური),		5		
		2. თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული),				
		3. თარგმნის თეორია და პრაქტიკა (გერმანული),				
		4. თარგმნის თეორია და პრაქტიკა (რუსული)				
3	GEOPLO7-LS	გეოპოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები	არ გააჩნია	5		

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
4	HIGEO07-LS	ისტორიული გეოგრაფია	არ გააჩნია			5
5	CONPSI07-LS	კონფლიქტის ფსიქოლოგია	არ გააჩნია	5		
6	CKON007-LS	სოციალური კონფლიქტები	არ გააჩნია	5		
7	CCON007-LS	ცივილიზაციათა კონფლიქტი	არ გააჩნია	5		
8	PCE0007-LS	პოლიტიკური კონფლიქტები და მათი კვლევა	ცივილიზაციათა კონფლიქტები		5	
9	CHR0007-LS	კონსტიტუციონალიზმი და ადამიანის უფლებები	არ გააჩნია		5	
10	INFW007-LS	ინფორმაციული ომი	არ გააჩნია		5	
11	CDMT007-LS	კონფლიქტები და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიები	პოლიტიკური კონფლიქტები		5	
12	NRCRP07-LS	ნატოს როლი კონფლიქტების დარეგულირების პროცესში	ინფორმაციული ომი			5
13	POLID07-LS	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	არ გააჩნია			5
		სპეციალობის არჩევითი საგნები		5		
		სამაგისტრო პრაქტიკა				5
			სემესტრში	30	25	20
			წელიწადში	55		
			სულ	75		

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	BCME007P	ბიზნესკომუნიკაცია	x	x		x		x
2.	TTTPE07L	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	x	x		x		
3.	GEOPLO7-LS	გეოპოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები	x	x	x	x	x	
4.	HIGEO07-LS	ისტორიული გეოგრაფია	x	x		x	x	
5.	CONPSI07-LS	კონფლიქტის ფსიქოლოგია	x	x		x	x	
6.	CKON007-LS	სოციალური კონფლიქტები	x	x	x		x	
7.	CCON007-LS	ცივილიზაციათა კონფლიქტი	x	x	x		x	
8.	PCE0007-LS	პოლიტიკური კონფლიქტები და მათი კვლევა	x	x		x	x	
9.	CHR0007-LS	კონსტიტუციონალიზმი და ადამიანის უფლებები	x	x	x		x	
10.	INFW007-LS	ინფორმაციული ომი	x	x	x		x	
11.	CDMT007-LS	კონფლიქტები და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიები	x	x		x		
12.	NRCRP07-LS	ნატოს როლი კონფლიქტების დარეგულირების პროცესში	x	x	x		x	
13.	PUBRELO7-LS	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	x	x	x		x	
14.	PUBRELO7-LS	საზოგადოებასთან ურთიერთობა პოლიტიკაში	x	x		x	x	
15.	TCONF07-LS	კონფლიქტის თეორიები	x	x	x		x	

პროგრამის სასწავლო გეგმა

საგანი	სათეები	ECTS საათი	სეზონური (მთლიანად)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	ბიზნესკომუნიკაცია	5/135			60			75
2.	თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5/135	15		30			90
3.	გეოპოლიტიკა	5/135	30	30				75
4.	ისტორიული გეოგრაფია	5/135	30	30				75
5.	კონფლიქტის ფსიქოლოგია	5/135	30	30				75
6.	სოციალური კონფლიქტები	5/135	30	30				75
7.	ცივილიზაციათა კონფლიქტი	5/135	30	30				75
8.	პოლიტიკური კონფლიქტები და მათი კვლევა	5/135	30	30				75
9.	კონსტიტუციონალიზმი და ადამიანის უფლებები	5/135	30	30				75
10.	ინფორმაციული ომი	5/135	30	30				75
11.	კონფლიქტები და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიები	5/135	30	30				75
12.	ნატოს როლი კონფლიქტების დარეგულირების პროცესში	5/135	30	30				75
13.	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	5/135	30	30				75
14.	სპეციალობის არჩევითი საგნები	5/135	30	30				75
15.	სამაგისტრო პრაქტიკა	5/135	30	30				75

პროგრამის ხელმძღვანელი

ვაჟა შუბითიძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი
ფაკულტეტის დეკანი

გურამ ჯოლია
რუსუდან ქუთათელაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
4 ივლისი 2012 წ.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური